ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5574293

ნომერი: AR1844881

თარიღი : 18.08.2021

გაცემის თარიღი : 30.08.2021

გაცნობის თარიღი : 30.08.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მეფე მირიანი , N 5;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მანანა ნაკაშიძე პ/ნ 01007008061
- თბილისი აკ.წერეთლის გამზ. კორ. 2 ბ. 1

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 20 ნოემბრის №4757252 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 18 აგვისტოს №AR1844881 განცხადებით მომართა მანანა ნაკაშიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2019 წლის 20

ნოემბრის №4757252 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 20 ნოემბრის №4757252 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, მეფე მირიანის ქუჩა №5-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.06.014.043), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
ხოლო, სამსახურის 2021 წლის 27 აპრილის №5386280 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 27 აპრილიდან 2022 წლის 27 აპრილის ჩათვლით
სამსახურის 2021 წლის 29 ივლისის №5525688 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 20 ნოემბრის №4757252 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ, დამხმარე და საერთო ფართობებთან მიმართებით. ამასთან, ჩანაცვლდა გეგმები.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2019 წლის 20 ნოემბრის №4757252 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, განმცხადებელს სურს ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად 15670.56 კვ.მ-ის ნაცვლად 15661.95 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 1882.2 კვ.მ-ის ნაცვლად 1893.88 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 221.92 კვ.მ-ის ნაცვლად 210.67 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 21058.01 კვ.მ-ის ნაცვლად 21049.83 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ასევე დაადგინა, რომ გეგმარება არ იცვლება, უბრალოდ +2.80, +5.40, +8.70, +12.00, +31.80, +38.40, +41.70 და +45.00 ნიშნულის გეგმებზე ხდება ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 20 ნოემბრის №4757252 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 20 ნოემბრის №4757252 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 15661.95 კვ.მ., საზაფხულო ფართობად 1893.88 კვ.მ., დამხმარე ფართობად 210.67 კვ.მ., საერთო ფართობად 21049.83 კვ.მ.
2. სამსახურის 2019 წლის 20 ნოემბრის №4757252 ბრძანებით შეთანხმებული (ჩანაცვლებული სამსახურის 2021 წლის 29 ივლისის №5525688 ბრძანებით) +2.80, +5.40, +8.70, +12.00, +31.80, +38.40, +41.70 და +45.00 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 20 ნოემბრის №4757252 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 20 ნოემბრის №4757252 და 2021 წლის 29 ივლისის №5525688 ბრძანებებთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge